

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

I. ზოგადი ინფორმაცია

**პროგრამის სახელწოდება:** ფოტოგრაფიისა და ვიდეოოპერატორობის საფუძვლები

**პროგრამის მოცულობა:** 3 ECTS კრედიტი

**პროგრამის ხანგრძლივობა:** პროგრამის ხანგრძლივობაა 3 თვე. მეცადინეობები ჩატარდება 13 კვირის მანძილზე, კვირაში 2 დღე, დღეში 2 საათი, გარდა ბოლო მეცადინეობისა, რომელსაც დაეთმობა 6 საათი.

**პროგრამის განხორციელების ადგილი:** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე მიმართულება, IV-V კორპუსები. ილია ჭავჭავაძის გამზირი # 14, ილია ჭავჭავაძის გამზირი # 36.

**პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა:** 4

**პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები:** მერაბ კოკოჩაშვილი თსუ ასოცირებული პროფესორი, დავით გუჯაბიძე, თსუ მოწვეული პროფესორი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ნინო გელოვანი, თსუ ლაბორანტი, გურამ შენგელაია, თსუ მოწვეული პროფესორი.

**პროგრამის ხელმძღვანელი:** თსუ ასოცირებული პროფესორი მერაბ კოკოჩაშვილი.

**პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი:** პროგრამას არ აქვს ჩართვის წინაპირობა. სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ მსმენელს ქონდეს საკუთარი ვიდეო, ან ფოტოკამერა. პროგრამა განკუთვნილია უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის პირისთვის.

**პროგრამის ღირებულება:** 300 ლარი

**პროგრამის შემუშავების თარიღი:** 2009 წლის 17 აგვისტო

## II. პროგრამის შინაარსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

**პროგრამის მიზნები და ამოცანები:** პროგრამის მიზანია გადასცეს მსმენელს საწყისი თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები თანამედროვე ციფრული და ტრადიციული ფოტოკამერების მოხმარების მიმართულებით; პროგრამის ფარგლებში მსმენელები შეისწავლიან კომპოზიციის საფუძვლებს ფოტო და ვიდეოგადაღების პროცესში, გაეცნობიან ფოტო და ვიდეომასალის კომპიუტერული დამუშავების პროგრამებს, პროგრამა მიზნად ისახავს შეასწავლოს მსმენელს ტექნიკური და მხატვრული თვალსაზრისით გამართული პორტრეტის, პეიზაჟი ს, ჟანრული სცენის, რეპორტაჟის, ოჯახური ზეიმისა და სხვა სიუჟეტების გადაღება.

**პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:** კურსის გავლის შემდეგ მსმენელი დაეუფლება ფოტოგრაფიისა და ვიდეო გადაღების თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს.  
კერძოდ, მას ეცოდინება

- ოპტიკური მხატვრობის ისტორიის საფუძვლები
- ვიზუალური ხელოვნების შექმნის ისტორია და საფუძვლები
- ვიდეო და ფოტო აპარატურის ტექნიკური აღჭურვილობა
- განათების პრინციპების საფუძვლები
- კადრის კომპოზიციის აგების საფუძვლები
- ვიდეომონტაჟის საფუძვლები.

განუვითარდება შემდეგი **დარგობრივი კომპეტენციები:**

- მხატვრული ნაწარმოების აგება
- ვიდეო და ფოტო აპარატურის გამოყენების უნარ-ჩვევები;
- ფოტოსურათის და ვიდეოფაილის კომპიუტერული დამუშავება;

**ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციას**

- მიმდინარე ინფორმაციის და/ ან სიტუაციის ათვისებისა და გამოყენების ანალიზის უნარი.
- დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობის უნარი;
- ჯგუფური მუშაობის უნარი;
- დროის ორგანიზების უნარი;

**პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (იხ. დანართი 2).**

**მონაწილეთა შეფასების სისტემა:**

მსმენელთა შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით.

დასწრება – 20 ქულა

პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოვლენილი აქტიურობა – 30 ქულა;

პრეზენტაცია – 50 ქულა.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე, რომელიც ყოველ კვირას ჩატარდება მსმენელს მოეთხოვება ლექციაზე მიწოდებული მასალის დამოუკიდებლად მომზადება და მისი წარმოდგენა. პრეზენტაციაზე მოხდება მსმენელის მიერ შესრულებული ნამუშევრების დემონსტრირება გამოფენის ან პროექციის სახით. პრეზენტაციები ჩატარდება სწავლების XII და XIII კვირას.

**სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:** სერტიფიკატის მიღების წინაპირობაა 51 ქულა.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** პროგრამა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო ტელე-კინო სტუდიის ბაზაზე, რომელიც განთავსებულია თსუ მეოთხე და მეხუთე კორპუსებში. ბაზა უზრუნველყოფილია ციფრული ფოტო და ვიდეოკამერით, სამონტაჟო და გრაფიკული პროგრამებით; ორი მინი DV კამერით.

IV კორპუსი: საოპერატორო ლაბორატორია და 3 აუდიტორია (საერთო ფართი: 60 მ<sup>2</sup>), კომპიუტერული გრაფიკის ლაბორატორია (საერთო ფართი: 12 მ<sup>2</sup>.) V კორპუსი: კინო-ტელე სამონტაჟო (საერთო ფართი: 40 მ<sup>2</sup>).

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

№	თემა	ლიტერატურა
1.	<p>ოპტიკური მხატვრობის (ფოტოგრაფია, კინემატოგრაფი, ტელევიზია, ვიდეო) წარმოშობა, ისტორიული წინაპირობები და ტექნიკური მოთხოვნები (თავისუფალი თემის გადაღება ნატურაზე და ინტერიერში) (1ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ)</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება" თბილისი, 1955, გვ. 3-29                      С. Морозов, "Творческая фотография", Изд. "Планета", М. 1981, გვ. 8-42</p>
2.	<p>კამერის აგებულება, ფუნქციონალური ბლოკები, ციფრული კამერების მენიუ. კადრის სწორი განათებულობის უზრუნველყოფა მოცემული ფოტო-ვიდეო კამერისათვის (ექსპონომეტრიის საფუძვლები) (1ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ. 79-84, 113-119,                      Michael Langford, The Step by Step Guide to Photography, Ebury Press, London, გვ. 26-29                      Питер Уорд, Работа с цифровой видеокамерой: уроки профессионального мастерства, пер. с английского, М. "Мир", 2001, гв. 44-52, 127-130  <a href="http://www.olympusamerica.com">www.olympusamerica.com</a></p>
3.	<p>კადრის კომპოზიცია: კადრის აზრობრივი ცენტრი და კადრის საზღვრები, გადაღების წერტილის შერჩევა, ხედვის კუთხე. პორტრეტული, არქიტექტურული და პეიზაჟური კომპოზიციები. (ექსპონომეტრიის საფუძვლები) (1ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ.120-139                      Питер Уорд, Работа с цифровой видеокамерой: уроки профессионального мастерства, пер. с английского, М. "Мир", 2001, гв. 145-158</p>
4.	<p>მატრიცის (ფირის) მგრძობიარობა და მგრძობიარობის ზღვარი. ფირის და მატრიცის სენსიტომეტრიული მახასიათებლები (მგრძობიარობა, კონტრასტი, მარცვლოვანება), მათ შორის მსგავსება და განსხვავება (პორტრეტის გადაღება ნატურაზე) (ექსპონომეტრიის საფუძვლები) (1ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ.96-113                      Michael Langford, The Step by Step Guide to Photography, Ebury Press, London, გვ. 3-29                      David Kilpatrick, Light &amp; Lighting, Focal Press, London &amp; Paris 1984, გვ. 8-18                      Leonard Gaunt Practical Exposure in Photography, Focal Press Limited, London, NY, М. «Мир» 1984, გვ. 12-22  <a href="http://ny.webphotoschool.com/">http://ny.webphotoschool.com/</a>                      Питер Уорд, Работа с цифровой видеокамерой: уроки профессионального мастерства, пер. с английского, М. "Мир", 2001, гв. 18-33</p>
5.	<p>გეომეტრიული ოპტიკის საფუძვლები, ლინზა,</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ. 113-119</p>

	<p>ობიექტივი, ობიექტივის ფოკუსური მანძილი (ნორმალური, ფართოკუთხიანი, საპორტრეტო), სიმკვეთრის სიღრმე (პეიზაჟის გადაღება დღის სხვადასხვა დროს და განათების სხვადასხვა პირობებში) (ექსპონომეტრიის საფუძვლები) (1ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>"ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ. 45-78</p> <p>Michael Langford, The Step by Step Guide of Photography, Ebury Press, London, გვ. 92-97</p>
<p>6.</p>	<p>ვარიოობიექტივი ("ზუმი"), კადრის სიმკვეთრის უზრუნველყოფა (პეიზაჟის გადაღება ქალაქში, ან ქალაქგარეთ) საფუძვლები) (4 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955</p> <p>Michael Langford, The Step by Step Guide of Photography, Ebury Press, London, გვ. 98-99</p> <p>Leonard Gaunt Practical Exposure in Photography Focal Press Limited, London, NY, M. «Мир» 1984, გვ. 23-33</p> <p>Питер Уорд, Работа с цифровой видеокамерой уроки профессионального мастерства, пер. с английского, М. "Мир", 2001, гв. 58-66</p>
<p>7.</p>	<p>დიაფრაგმა და მისი ფუნქცია, სიმკვეთრის სიღრმის მართვა კომპოზიციის აგებისას (ქანრული სცენის გადაღება) (1ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ. 41-46</p> <p>Michael Langford, The Step by Step Guide of Photography, Ebury Press, London, გვ. 34-38</p> <p>David Kilpatrick, Light &amp; Lighting, Focal Press London &amp; Paris 1984, გვ. 18-20</p> <p>Питер Уорд, Работа с цифровой видеокамерой уроки профессионального мастерства, пер. с английского, М. "Мир", 2001, гв. 106-110</p>
<p>8.</p>	<p>კონტრასტი. კონტრასტის შემცირება ნატურაზე ბლიც-ნათურით (რეპორტაჟის გადაღება ღია ცის ქვეშ) (4 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ. 137-142</p> <p>Michael Langford, The Step by Step Guide of Photography, Ebury Press, London, გვ. 112-114</p> <p>David Kilpatrick, Light &amp; Lighting, Focal Press London &amp; Paris 1984, გვ. 26-29</p>
<p>9.</p>	<p>ფერთი ტემპერატურა, თეთრი ფერის ბალანსი ვიდეო და ციფრულ ფოტო და ვიდეოკამერებში; ფერის საკომპენსაციო შუქფილტრები. (ოჯახური ზეიმის გადაღება) (4 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).</p>	<p>დ. კანდელაკის "ფოტოხელოვნება" გამომცემი "ხელოვნება", თბილისი, 1955, გვ. 219-232</p> <p>Michael Langford, The Step by Step Guide of Photography, Ebury Press, London, გვ. 146-158</p> <p>David Kilpatrick, Light &amp; Lighting, Focal Press London &amp; Paris 1984, გვ. 29-48</p>

		Питер Уорд, Работа с цифровой видеокамерой уроки профессионального мастерства, пер. с английского, М. "Мир", 2001, გვ. 80–87
10	ფოტოსურათის და ვიდეოფაილის კომპიუტერული დამუშავების პროგრამები (მაგ. "ფოტოშოფი", "პრემიერი", "ედიუსი" და სხვ.) (1 ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).	ის ინტერნეტ-საიტები, რომელზედაც განთავსებულია გრაფიკული პროგრამები შეირჩევა მსმენელების სურვილით.
11	ფოტოსურათის და ვიდეოფაილის კომპიუტერული დამუშავების პროგრამები (მაგ. "ფოტოშოფი", "პრემიერი", "ედიუსი" და სხვ.) (1 ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).	ინტერნეტ-საიტები, რომელზედაც განთავსებულია გრაფიკული პროგრამები შეირჩევა მსმენელების სურვილით.
12	ვიდეომონტაჟის საფუძვლები, (მარტივი ვიდეომონტაჟი კომპიუტერზე) პრეზენტაციები (1 ლექცია/3 პრაქტიკული მეცადინეობა. სულ 4 სთ).	პრაქტიკული მონტაჟი, ერთ-ერთი მსმენელის ნამუშევრის მონტაჟის მაგალითზე.
13	პრეზენტაციები (6 სთ)	პრაქტიკული მონტაჟი, ერთ-ერთი მსმენელის ნამუშევრის მონტაჟის მაგალითზე.

#### სავალდებულო ლიტერატურა:

1. დავით კანდელაკის "ფოტოხელოვნება", გამომც. "ხელოვნება", თბილისი 1955
2. Michael Langford, The Step by Step Guide of Photography, Ebury Press, London
3. David Kilpatrick, Light & Lighting, Focal Press, London & Paris 1984
4. Leonard Gaunt Practical Exposure in Photography, Focal Press Limited, London, NY, M. «Мир» 1984
5. Сергей Морозов, "Творческая фотография", Изд. "Планета", М. 1981
6. <http://ny.webphotoschool.com/>
7. [http://www.olympusamerica.com/cpg\\_section/photoschool/ps\\_home.asp](http://www.olympusamerica.com/cpg_section/photoschool/ps_home.asp)
8. <http://www.photomuseum.org.ge>
9. Питер Уорд, Работа с цифровой видеокамерой: уроки профессионального мастерства, пер. с английского, М. "Мир" 2001.

#### დამატებითი ლიტერატურა:

დამატებითი სასწავლო ინფორმაცია მოიპოვება სხვადასხვა პროფესიულ ფოტო-ვიდეო ჟურნალებში და ინტერნეტ-საიტებზე, მაგალითად: [www.whatdigitalcamera.com/technique/photography/](http://www.whatdigitalcamera.com/technique/photography/) და სხვ. მსმენელთა დაინტერესების შემთხვევაში პედაგოგი ამ მასალას სწავლების პროცესში მიუთითებს.